

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: <https://kings.ge/register>

ძვირფასო მასწავლებლო,

ეს კინგსის გასული სეზონის საოლიმპიადე ამოცანებია, რომლებიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც საკლასო აქტივობებისას, ასევე გაუგზავნოთ თქვენს მოსწავლეებს.

კინგსის ოლიმპიადის გაზაფხულის სეზონზე რეგისტრაცია უკვე დაიწყო. მოსწავლე დასარეგისტრირებლად უნდა ეწვიოს ბმულს: www.kings.ge

რომელ საგნებში ტარდება ოლიმპიადა?

კინგსის ოლიმპიადა წელს 6 საგანში ტარდება: მათემატიკა, ინგლისური, ქართული, ბუნება, ისტორია და ინტელექტი.

რომელი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება?

კინგსის მათემატიკის, ქართულისა და ინგლისურის ოლიმპიადაზე 2-დან მე-12 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ბუნების ოლიმპიადა მე-2, მე-3 და მე-4 კლასელებისათვის, ისტორიის ოლიმპიადა მე-5 კლასიდან ზემოთ, ხოლო ინტელექტის ოლიმპიადა მე-2 დან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის ტარდება.

ოლიმპიადის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ: <https://kings.ge/news/1058>

კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა 2020 / I ტური

მე-9 კლასი

- a, b და c მართკუთხა სამკუთხედის გვერდებია. რომელი ტოლობაა ჭეშმარიტი, თუ $a < b < c$
A. $a^2 = b^2 + c^2$ B. $c^2 = a^2 + b^2$ C. $b^2 = a^2 + c^2$
- სამკუთხედის ერთი გვერდია 16, ხოლო შესაბამისი სიმაღლეა _ 7. რას უდრის ამ სამკუთხედის ფართობი?
A. 54-ს B. 112-ს C. 56-ს
- ლექტორის ფასი ჯერ გაიზარდა 25%-ით, შემდეგ კი შემცირდა 20%-ით. რა ღირდა ლექტორი თავდაპირველად, თუ ახლა ის ღირს 1050 ლარი?
A. 1050 ლარი B. 1000 ლარი C. 1100 ლარი
- ამოხსენით:
$$\begin{cases} x + 2y = 49 \\ 3x - y = 49 \end{cases}$$

A. $x = 21; y = 14$ B. $x = 24; y = 11$ C. $x = 14; y = 17.5$

5. რომბის მცირე დიაგონალი გვერდის ტოლია. იპოვეთ ბლაგვი კუთხის წვეროდან გავლებული სიმაღლეებს შორის კუთხე.
A. 30° B. 45° C. 60°
6. თუ $a^2 = b^3$ და $b = c^3$, მაშინ $a^2 =$ A. c^9 B. c^4 C. c^3
7. კლასში ყველაზე მაღალი ბიჭი ყველაზე დაბალ გოგოზე 86სმ-ით მაღალია. ხოლო ყველაზე დაბალი მონაწილე ბიჭი ყველაზე მაღალ გოგოზე 72სმ-ით დაბალია. რამდენით მაღალია ყველაზე მაღალი მონაწილე ბიჭი ყველაზე დაბალ მონაწილე ბიჭზე, თუ ყველაზე მაღალი მონაწილე გოგო ყველაზე დაბალ გოგოზე 70სმ-ით მაღალია?
A. 96სმ-ით B. 88სმ-ით C. 92სმ-ით
8. მოცემული გვაქვს ABC სამკუთხედი, რომლის გვერდების სიგრძეებია: 13სმ, 27სმ და 14სმ. B წვეროდან დაშვებულია 16სმ სიგრძის სიმაღლე 27 სანტიმეტრიან გვერდზე. იპოვეთ სამკუთხედის ფართობი.
A. 216სმ² B. 432სმ² C. ასეთი სამკუთხედი არ არსებობს
9. ხუთკუთხედში ოთხი კუთხის გრადუსული ზომებია: 74° , 135° , 95° , 136° . რისი ტოლია დარჩენილი მეხუთე კუთხის გრადუსული ზომა?
A. 60° B. 100° C. 140°
10. 24-დან მოყოლებული ხუთი მომდევნო რიცხვი ერთმანეთზე გადაამრავლეს, შემდეგ შეამცირეს 99-ით. მიღებული რიცხვი აუცილებლად:
A. კენტია B. ლუწია C. 5-ის ჯერადია

ბონუს დავალებები

ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

1. მაგთის ბონუს კითხვა
მაგთის მიერ ორგანიზებულ ფოტოკონკურს „რაკურსში“ პირველი, მეორე და მესამე ადგილოსნებისთვის ჯამში საპრიზო ფონდი 10 000 ლარს შეადგენს. პირველ ადგილოსანს გადაეცემა ჯილდოდ სრული საპრიზო ფონდის 50%, ხოლო მესამე ადგილოსანს პირველადგილოსნის ჯილდოს 40%. რა თანხით ჯილდოვდება მეორე ადგილზე გასული კონკურსანტი?
A. 5000 B. 3000 C. 2000
2. მაქსიმუმ რამდენ თეფშზე უნდა გადავანაწილოთ 17 ნაჭერი ნამცხვარი, რომ თითოეულ თეფშზე განსხვავებული ოდენობის ნაჭრები იდოს (თითოეულ თეფშზე უნდა იდოს 1 ნაჭერი მაინც)?
A. 6 B. 5 C. 2
3. როგორ შეიცვლება ექვსნიშნა რიცხვი, თუ მის ასიათასეულების და ერთეულების თანრიგის რიცხვებს შევუცვლით ადგილს, თუ ცნობილია, რომ ასიათასეულის

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: <https://kings.ge/register>

თანრიგის რიცხვი 3-ით აღემატება ათიათასეულს, რომელიც თავისთავად 5-ით აღემატება ერთეულების თანრიგის რიცხვს?

A. შემცირდება 899991-ით B. გაიზრდება 100009-ით C. შემცირდება 799992-ით